# Disney-მ მულტსერიალი „სახლში ოლაფთან ერთად“ შექმნა

Disney-მ პოპულარული მულტფილმის „გაყინულის“ მიხედვით მოკლემეტრაჟიანი მულტსერიალი შექმნა. ამის შესახებ Entertainment Weekly წერს.

გამოცემის ინფორმაციით, მულტსერიალი „სახლში ოლაფთან ერთად“ თვითიზოლაციის რეჟიმში მყოფმა ანიმატორმა ჰიურუმ ოსონდმა სახლიდან გაუსვლელად დახატა, მსახიობმა ჯოშ გედმა კი მხიარული თოვლის კაცი ასევე საკუთარ სახლში გაახმოვანა.

მულტფილმის სერიები Disney-ს Twitter-სა და YouTube არხებზე იტვირთება. ჯერჯერობით უცნობია რა სიხშირით გამოვა ახალი სერიები, თუმცა პირველი ეპიზოდი „მხიარულება თოვლში“ უკვე ხელმისაწვდომია.

imedinews.ge

> *My friends @alittlejelee & @mrhyrum called me up one day & asked me if I would be able 2 record some dialogue & sounds as Olaf from home. These little shorts done from home by Hyrum & the @DisneyAnimation team are so charming & hopefully provide a smile during these scary times☐ https://t.co/pjdVGSDa2U*
>
> *— Josh Gad (@joshgad) April 6, 2020*